ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4593643

ნომერი: AR1690359

თარიღი : 26.06.2019

გაცემის თარიღი : 17.07.2019

გაცნობის თარიღი : 17.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბი სამბელაშვილი პ/ნ 36001047985
- ქ. თბილისი, კაკაბეთის ქ.52

ორგანიზაცია:
- შპს გასგო ინთერნეიშენალ ჰოთელს ენდ თაუერს კოდი: 406157821

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 26 ივნისს №AR1690359 განცხადებით მომართა ზურაბი სამბელაშვილმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 გადაწყვეტილებაში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 გადაწყვეტილებით ქალაქი თბილისში მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირი N7-ში, №01.17.07.024.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4307603 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ფუნქცია/დანიშნულება:საცხოვრებელი (დასაშვებია არასაცხოვრებელი, ზონის შესაბამისი ფუნქციების არსებობა, არა უმეტეს საერთო ფართობის 25 %-სა).
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელს სურს, რომ 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 გადაწყვეტილებაში ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონად მიეთითოს პერიფერიული ზონა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
განგიმარტავთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით, თქვენს დაინტერესებაში არსებულ №01.17.07.024.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება შემდეგი ტერიტორიულ სტრუქტურული ზონები: გეგმარებითი კარკასი და პერიფერიული ზონა, აღნიშნული ზონები ასევე დაფიქსირებულია სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. (გიგზავნით დანართს) შესაბამისად, ვინაიდან, ტერიტორიაზე ვრცელდება ორი ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა, მშენებლობის დროს დაცულ უნდა იქნეს იმ ზონის მოთხოვნები რომელ ზონაშიც განთავსდება შენობა-ნაგებობა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4283793 გადაწყვეტილება არ შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს და შესაბამისად, არ არსებობს ხარვეზის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.